„ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში" - საკონკურსო განაცხადი

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის/ბიბლიოთეკის დასახელება	**კონკურსანტის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ ქალაქ ხონის N 4 საჯარო სკოლა	ლია ჯანხოთელი, წამყვანი მასწავლებელი

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
რატომ გსურთ ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში/ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას/ბიბლიოთეკას და განათლების პროცესს?	სკოლა მცირეკონტინგენტიანია , ხოლო მოსწავლეთა უმრავლესობას აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოზარდები შეადგენენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტიურად ვცდილობდი სკოლის ჩართვას „ფინედუს“ საგანმანათლებლო ინიციატივებში, რადგან ღრმად მწამს: ფინანსური წიგნიერება არის ის ფუნდამენტური სასიცოცხლო უნარი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა სოციო-ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და მათთვის თანაბარი,უკეთესი შესაძლებლობების შექმნას. ამ მიმართულებით მყარი საფუძველი უკვე ჩაყრილია: 2025 წლის ნოემბერში ჩვენს სკოლას ესტუმრა საქართველოს ბანკის წარმომადგენელი, ბელა დახუნდარიძე. მან ჩაატარა ინტერაქციული ლექცია,სკოლას საჩუქრად გადასცა ფინანსური თამაში „ასოციაციობანა“ და საგანმანათლებლო ბროშურები. ეს მასალები ამჟამად განთავსებულია სასკოლო ბიბლიოთეკაში , მოსწავლეები მათ აქტიურად იყენებენ. მოცემულ კონკურსში გამარჯვება ჩვენთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა ამ საწყის ბაზას მიეცეს სრულყოფილი, სისტემური სახე. ჩვენი მიზანია არსებული რესურსების გაფართოება, სპეციალიზებული ლიტერატურისა და ციფრული ხელსაწყოების დამატება. ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის შექმნა არ იქნება მხოლოდ მატერიალური ბაზის შევსება;

	იგი გარდაიქმნება სკოლის ფინანსური განათლებისა და ინოვაციების ცენტრად, რომელიც შემდეგი მიმართულებებით იმუშავებს: 1. **არსებული რესურსის გაძლიერება — თეორიიდან პრაქტიკამდე:** ნაჩუქარი თამაში „ასოციაციობანა“ და ბროშურები გახდება ახალი სივრცის ცენტრალური ნაწილი. ახალი რესურსების ინტეგრირება საშუალებას მოგვცემს, ფინანსური ტერმინოლოგიისა და საბანკო პროდუქტების სწავლება ვაქციოთ ყოველკვირეულ, სისტემურ პრაქტიკულ საქმიანობად. მასალებს აქტიურად გამოიყენებენ სამოქალაქო განათლების პედაგოგებიც, როგორც დამხმარე სასწავლო რესურსს საგაკვეთილო პროცესში (ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად). 2. **უწყვეტი სწავლება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება:** როგორც საერთაშორისო პროექტების (eTwinning - „კულტურის დეტექტივები“ და „Mystery Skype“) აქტიური მონაწილე სკოლა, ჩვენ შევძლებთ „ფინედუს“ კუთხიდან მოვაწყოთ პირდაპირი ონლაინ-ჩართვები. მოსწავლეები უცხოელ თანატოლებს გაუზიარებენ, თუ როგორ სწავლობენ ფინანსურ უსაფრთხოებას საქართველოში. ფინედუს-ს მასალებზე დაყრდნობით, პლატფორმა BookCreator-ში შევქმნით „საერთაშორისო ფინანსურ ლექსიკონს“ და ელექტრონულ წიგნს კიბერუსაფრთხოების წესებზე. ასევე, „ასოციაციობანას“ პრინციპით შევქმნით თამაშის ონლაინ ვერსიებს (Kahoot, LearningApps) პარტნიორ სკოლებთან ერთად სათამაშოდ. **3. სოციალური ინტეგრაცია:** ბიბლიოთეკის ეს კუთხე გახდება სივრცე, სადაც მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლები და მშობლებიც მიიღებენ საჭირო ინფორმაციას, რაც ჩვენი სკოლის სოციალური ფონის გათვალისწინებით, ოჯახების ფინანსური კეთილდღეობის საფუძველი იქნება.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დაიწყებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2026 წლის 20 დეკემბრამდე. • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, ციფრული პროექტები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია, საჯარო შეხვედრები ბიბლიოთეკის სივრცეში, სოციალურ ქსელებში კამპანიები და სხვ. • შეგიძლიათ აღწეროთ გრძელვადიანი პროექტი, რომლის პირველ აქტივობასაც 20.12.2026-მდე ჩაატარებთ წარმოდგენილი გრძელვადიანი პროექტი მიზნად ისახავს სკოლის ბიბლიოთეკის ბაზაზე ინტერაქციული „ფინედუს კუთხის“ მოწყობას. პროექტის პირველი აქტივობა, რომელიც 2026 წლის 20 დეკემბრამდე განხორციელდება, დაეფუძნება ჩვენთვის ნაჩუქარ ფინანსურ თამაშს „ასოციაციობანა“ . აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ აქტივობას არ ექნება ერთჯერადი სახე; თამაში ინტეგრირდება სასწავლო პროცესში და მრავალჯერადად იქნება გამოყენებული როგორც მიმდინარე, ისე შემდგომი ნაკადების მოსწავლეებთან, რაც უზრუნველყოფს პროექტის მდგრადობას. ეს საწყისი ეტაპი საფუძველს ჩაუყრის მოსწავლეთა ფინანსური ტერმინოლოგიის ათვისებას და მოამზადებს მათ შემდგომი ციფრული პროდუქტების შესაქმნელად
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	• სსიპ ქალაქ ხონის N 4 საჯარო სკოლის მოსწავლეები (განსაკუთრებით მე-8 კლასის მოსწავლეები და იძულებით გადაადგილებული/დევნილი ბავშვები). • მოსწავლეთა მშობლები და სკოლის პედაგოგები.

	• საერთაშორისო პარტნიორები eTwinning-ისა და Mystery Skype-ის პლატფორმებიდან.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	• **ადგილი:** სკოლის ბიბლიოთეკა, „ფინედუს“ კუთხე; ინტეგრირებული ონლაინ პლატფორმები. • **ხანგრძლივობა:** გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროექტი. • **პერიოდი:** 2026 წლის სექტემბერი – დეკემბერი (პირველი აქტივობები განხორციელდება 2026 წლის 20 დეკემბრამდე).
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტი ხორციელდება ინდივიდუალურად (ლია ჯანხოთელის კოორდინაციით), თუმცა მასში აქტიურად ჩაერთვებიან სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლები (რესურსების საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირების მიზნით) და საერთაშორისო პარტნიორი მასწავლებლები (გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი ციფრული საგანმანათლებლო პროდუქტების შექმნის მიზნით).
პროექტის/აქტივობის აღწერა **(რეკომენდირებულია 500-მდე სიტყვა)** *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ უკავშირდება იგი ციფრულ განათლებასა ან/და კიბერუსაფრთხოებას, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი გრძელვადიანი თუ ერთჯერადი)*	საგანმანათლებლო პროექტი **„ფინანსური გიდი ციფრულ სამყაროში“** მიზნად ისახავს მოსწავლეებში ფინანსური წიგნიერებისა და ეკონომიკური ცნობიერების ამაღლებას თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით. პროექტი ეფუძნება კვლევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიას და მოიცავს 20-25 მუდმივ მონაწილეს (მე-8 კლასი). პროექტი სტრუქტურირებულია შემდეგი თანმიმდევრობით: 1. **თეორიული საფუძვლები და თამაშით სწავლება:** ბიბლიოთეკის ბაზაზე არსებული ფინანსური თამაშის, „ასოციაციობანას“ და ფინედუს ახალი საინფორმაციო ბროშურების მეშვეობით, მოსწავლეები ინტერაქციულად გაეცნობიან საბანკო პროდუქტებს, დაზოგვის სტრატეგიებსა და საბაზისო ეკონომიკურ ტერმინოლოგიას.

	2. **„მოლაპარაკე ავატარები“ (Talking Avatars) და ციფრული განათლება:** თეორიული მასალის ათვისების შემდეგ, მოსწავლეები ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებისა (Canva, Talking Avatars) და ვიდეო-მონტაჟის (CapCut) გამოყენებით შექმნიან პერსონალურ ციფრულ გიდებს. ეს ავატარები გახდებიან პროექტის „სახეები“, რომლებიც მოკლე ვიდეორგოლების საშუალებით თანატოლებისთვის გასაგებ ენაზე ახსნიან ფინანსური ჰიგიენისა და კიბერუსაფრთხოების წესებს (მაგ. პერსონალური მონაცემების დაცვა ფიშინგისგან და უსაფრთხო ონლაინ შოპინგი). 3. **ინტერაქციული ფინანსური ვიქტორინა:** მიღებული ცოდნის გასამყარებლად, ბიბლიოთეკის სივრცეში მოეწყობა შიდა სასკოლო ჩემპიონატი ფინანსურ წიგნიერებაში Kahoot-ისა და Mentimeter-ის პლატფორმების გამოყენებით. 4. **საერთაშორისო კოლაბორაცია:** „Mystery Skype“-ისა და eTwinning-ის ფარგლებში, მოეწყობა პირდაპირი ჩართვები ბიბლიოთეკიდან. მოსწავლეები უცხოელ თანატოლებს წარუდგენენ თავიანთ ციფრულ პროდუქტებს და გაუზიარებენ ფინანსური უსაფრთხოების ქართულ გამოცდილებას. 5. **ციფრული რესურსების ბაზა და თანატოლთა განათლება :** შექმნილი მასალები გაერთიანდება ელექტრონულ წიგნში (BookCreator) „საერთაშორისო ფინანსური ლექსიკონი“. პროექტის დასკვნით ეტაპზე მოეწყობა მოსწავლეთა შემოქმედებითი გამოფენა და საინფორმაციო კამპანია, სადაც პროექტის მონაწილეები თავად წარსდგებიან მენტორების როლში სხვა კლასის მოსწავლეებისა და მშობლების წინაშე.
პროექტის/აქტივობის მოსალოდნელი შედეგი *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	• **პრაქტიკული პროდუქტი:** შეიქმნება AI „მოლაპარაკე ავატარების“ ვიდეო-გაკვეთილების სერია, საინფორმაციო ბუკლეტები (Canva) და საერთაშორისო ციფრული ფინანსური ლექსიკონი (BookCreator), რომლებიც დარჩება ბიბლიოთეკის ბაზაზე (პროექტის მდგრადობა). • **ცოდნის გაზომვა (ვალიდურობა):** მოსწავლეთა პროგრესი და ცოდნის დონე შეფასდება ორეტაპიანი ანონიმური კითხვარების — პრე და პოსტ-ტესტირების შედეგების

	შედარებითი ანალიზით (ველოდებით ფინანსური ცნობიერების მინიმუმ 30%-იან ზრდას). • **სოციო-საგანმანათლებლო ინტეგრაცია:** ბიბლიოთეკის „ფინედუს“ კუთხე წარმატებით ჩამოყალიბდება სკოლის ციფრული, ფინანსური და სამოქალაქო განათლების მულტიფუნქციურ ცენტრად.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/გრძელვადიანი პროექტის შემთხვევაში - დაწყებას	პროექტი დაიწყება **2026 წლის სექტემბერში** და აქტიურად გაგრძელდება **2026 წლის 20 დეკემბრამდე** (შემდგომი პერმანენტული განახლებით).